№ 762

# სახალხო გაზეთი

ფარასკევი, 30 ნოემბერი 1912 წ.

№ 762

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ტელეფონი №12-29

სახალხო გაზეთი

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმი

სამკურნალო

ქართული თეატრი

დიდი ქართული კონცერტი

თამარ-ბაზიერი

ექიმი

ექიმი

ექიმი

ექიმი

## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშით პეტერბ. სააგენტო).

თავმჯდომარეობს როძიანკო.

სათათბიროს მანდატების კომისიის მოხსენებას განიხილავს. 1 ღრის განმავლობაში სახივარი არ მისულა. ვარუნ-სეკრეტ წინადადებას ვლადიმირის გუბერნიის არჩევნებს. როდიჩევი: სათათბირო ვლადიმირის გუბერნიის არჩევნები იმას კი არა ჰნიშნავს, რომ არჩევნები კანონიერად მოხდა. არჩევნების საჩივარი. არჩეულ დეპუტატებს ხალხის წარმომადგენლად, საარჩევნო აგიტაციისთვის მთელი მართმადიდებელი სამღვდელოება მობილიზაციად იყო გაწვეული და სინოდმა თავისი მიწერ-მოწერით და ცირკულიარებით სამღვდელოების სინიდისი შებოჭა. ხალხის სინიდისი არ შეიძლება ალუ-მტვრეველი დარჩეს, მერე იმ დროს, როცა ქვეყანამ უნდა მოიკრიბოს მთელი თავისი ძალ-ღონე და სამ-სხვერპლოდ უნდა დაემზადოს.

ჩხეიძე ამბობს: არჩევნები მხოლოდ მაშინ შეიძლება სწორედ მოხდეს, როცა შეიქნება სამისო პირობები და მცხოვრებთ მიენიჭება სამოქალაქო უფლებათ.

ზამისლოვსკი მოაგონებს სათათბიროს, ლაპარაკია ვლადიმირის გუბერნიის არჩევნების თაობაზე, რომელზედაც არავითარი საჩივარი არ მოსულა. როდიჩევმა და ჩხეიძემ ამ არჩევნების თაობაზე ერთი სიტყვა არა სთქვეს.

როდიჩევი ამბობს: ვლადიმირის გუბერნიაში ადმინისტრაციამ გადაწყვიტა მისთვის არა სასურველი ჩერ-ნოსვისტოვი, ცნობილი დეპუტატი პირველი, მეორე და მესამე სათათბიროსი. ოპოზიციას იძულებული არჩევნების ცისწორეს დაუპირობ-ბარი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სათათბიროს დაითხოვენო.

ნიკოლაი ლვოვი ამბობს, აქ წარმოთქმულ სიტყვებს არავითარი კავშირი არა აქვს ვლადიმირის გუბერნიის არჩევნებთან. ნიკონი ჰპოტესტებს ასწავლეს სინოდის მიმართ დამოუკიდებელ მღვდლების წამოყენებისათვის. ვლადიმირის გუბერნიის არჩევნები კანონიერად ჩასთვალეს.

ვარუნ-სეკრეტი კოსტრომის გუბერნიის არჩევნებს აცნობს. ცნობას სათათბირომ. კოსტრომის არჩევნები სწორად ჩასთვალეს.

ზამისლოვსკი აცხადებს: არჩეულებში არის გურასიმოვი, ვისი ცნობა სათათბიროს უკანასკნელ განმარტების მიხედვით, ... 208 ხმით წინააღმდეგ 102 კოსტრომის გუბ. არჩევნები დამტკიცდა. საპირადო საქმეების ... დაამტკიცეს არჩევნები: ... ოლქის, ..., ..., ..., ..., ..., ..., ... გუბერნიაში, ... ოლქების არჩევნები დაამტკიცეს.

თავმჯდომარემ მოახსენა სათათბიროს ... განცხადება, ... კალუგის გუბერნიის არჩევნების განხილვა წინადადება მიიღეს.

თავ. მანსირმა ... დაამტკიცეს ... არჩევნები.

გელოვანი მოახსენებს ... სათათბიროს, რომ მთელ კავკასიაში არჩევნების ... ადმინისტრაციის ... ჩხეიძე ... ქუთაისის გუბერნიის არჩევნების თაობაზე შეკითხვის შესატანად. შეკითხვაში ისინი ... ადმინისტრაციის და სხვა

ელემენტების მოქმედებას, რომელნიც რაიმე მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისის საარჩევნო კომპანიაშიო. ქუთაისის გუბერნიის არჩევნები სათათბირომ დაამტკიცა. სათათბირომ დაამტკიცა აგრეთვე პოლტავის გუბერნიის არჩევნები, გარდა გრაფ კაპნისტ მეორის არჩევნისა; სათათბირომ მიიღო არჩევნები სტავროპოლისა, ვარშავისა, კელცისა, სუვალისა და უფის გუბერნიისა. ოლქებისა პრიმორსკისა, დაღესტნისა, ზაქათალის ოლქისა, და სხვა და სხვა.

მომხსენებელმა **კოვალევსკიმ** ჩერნიგოვის გუბერნიის არჩევნების გამო სთქვა: თუმცა ამის თაობაზე არავითარი საჩივარი მოსულა, გარეგნულად არჩევნები წესიერია, და ფორმალიურად არავითარი უფლება გვაქვს არ დავამტკიცოთ; მაგრამ ხმებია რომ საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა. სიაში ამოშალა 11 ამომრჩეველი ამისთვის მეთერთმეტე განყოფილების ზოგიერთმა წევრმა განაცხადა რომ ამ არჩევნების ნამდვილი საქმის წარმოება განიხილოს სათათბირომ, რათა ეჭვი გაიფანტოსო. უმრავლესობამ ეს აზრი არ გაიზიარა. განყოფილება მოითხოვს არჩევნები დაამტკიცონ.

**ბარონ მეინდორფი.** პარტიის მსჯავრი ძალიან ფრთხილად უნდა მოექცეს პარტიულ ინტერესების საკითხის განხილვის დროსო. დიდის პატივისცემით უნდა მოეპყრას ადამიანი მესამე და მეოთხე სათათბიროს პრაქტიკას. ამისთვის იგი მომხრეა განყოფილების ზოგიერთ წევრის აზრისა და საჭიროდ მიაჩნია მოითხოვოს ჩერნიგოვის გუბერნიის არჩევნების ნ. მდვილის საქმის წარმოება (ცენტრში ტაშის ცემაა).

**მარკოვი მე-2.** არ შეიძლება შევაჩეროთ არჩევნების დამტკიცება რაღაც ხმების გულისთვის, რაც დიდად შესაძლებელია სრულიად უსაფუძვლო გამოდგეს. მემარჯვენეთა ფრაქცია, სხვა ფრაქციასთან შედარებით, აქ სამუშაოდ მოსულა. ამიტომ იგი წინადადებას იძლევა უკუაგდოს დაუსაბუთებელი, კანონის საწინააღმდეგო მოთხოვნილება და თვითმპყრობელის ნების განსახორციელებლად შეუდგეს კანონ-პროექტების განხილვას (ტაშის ცემა მარჯვნივ).

**ზამისლოვსკი.** თუ კი ადამიანი ვალად იღებს ზნეობრივ თავდებობას, შეუძლიან რაიმე უკანონო მოქმედებას მისცეს ფორმა შეკითხვისა და სათათბიროს ისე წარუდგინოსო. არ შეიძლება სათათბირომ მსჯელობა იქონიოს იმ ხმების თაობაზე, რომლის პასუხისმგებლობაც ვერ უტვირთნიათო. გარდა ამისა სათათბიროს გამოძიების ფარგალში შედის მხოლოდ ის, რაც ხდებოდა საგუბერნიო არჩევნებზე. არ შეიძლება ამის გამო გადავლახოთ კანონის ზღუდენი და დავარღვიოთ სენატის მიერ დაწუნებული ნაკაზი. ეს იმიტომ კი არ მოგვდის, რომ მემარჯვენეებს უნდათ ჭეშმარიტების დაფარვა, არამედ უნდათ ნათელჰყონ ის ჭეშმარიტება, რაიც სათათბიროს კომპენტენციაში შედისო. (ტაშის ცემა მარჯვნივ).

**შინგარევის** კანონის მუხლების განხილვით ამტკიცებს, რომ სათათბიროს უკანონო არაფერი წარუდგინოს, თუ მართლა მემარჯვნეებს გულწრფელად და არა ფარისევლურად ჰსურთ ჭეშმარიტების გამორკვევა, მაშინ ისინი უნდა შეუერთდნენ მეინდროფის წინადადებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაამტკიცებენ რომ ჭეშმარიტება მხოლოდ სიტყვით უყვართ, ნამდვილად კი ნაცელარიებში სცდილობენ მისჩქმალონ ჭეშმარიტებაო.

**ალექსანდროვი.** ზამისლოვსკის ძალიან ტყუილად ეშინიან გადალახოს ჩინეთის ზღუდე, რაც ხელოვნურად არის აჩიხნული არჩევნების პირველსა და მეორე საფეხურებს შუაო. ესეთი შეხედულება სრულიად შეუწყნარებელიაო. ამისთვის საჭიროა მოითხოვოს არჩევნების მთელი საქმის წარმოებაო (ტაშის-ცემა მარცხნივ).

**მარკოვი მეორე** ამბობს: სათათბიროს კედლებ გარეშე გამოქვეყნებული სენატის ნაკაზი უბრალო ქაღალდიაო, როცა მრისხანე ექიმი შინგარევი, ან ნიჭიერი ადვოკატი ალექსანდროვი მოსთხოვენ მთავრობას დოკუმენტებს, ნაკაზზე დაფუძნებულს, მთავრობისაგან მიიღებს დინჯ პასუხს: „ჩვენ მაგისთანა ნაკაზი არ ვიცითო". ორატორი ამბობს: ნუ გაჰყვებით ალექსანდროვს და შინგარევსო (ტაშის ცემა მარჯვნივ).

**პურიშკევიჩი** მაგონებს: ჩერნიგოვის არჩევნების გამო არავითარი საჩივარი მოსულა. სათათბიროს სიმართლეს მოკლებულ ხმებს აწვდიანო. ოქტომბრისტებს უნდათ დააბრუნონ სათათბიროში თავიანთი წევრები. სათათბირომ უნდა იხელმძღვანელოს ობიექტიური ჭეშმარიტებით; უნდა კანონიერ ნიადაგზე იდგეს იგი და დაამტკიცოს ჩერნიგოვის გუბერნიის არჩევნებიო.

**ტანცოვი**, მღვდელი **პოკროვსკი, პოლოვცევი მეორე, მარკოვი მეორე** და **მოტიველოვი** არჩევნების დამტკიცების მომხრე არიან.

**ლაშკევიჩი** ამბობს: მეინდროფის განცხადებას ვერ დაუძახებთ სიმართლეს მოკლებულ ხმასო.

**მომხსენებელი კოვალევსკი** მოაგონებს: განყოფილება იძლევა წინადადებას არჩევნები დამტკიცებულ იქნასო. მხოლოდ მან დაასაბუთა უმცირესობის აზრი, არჩევნები გამოძიებას მიეცესო.

**მარკოვი მეორე** მომხსენებლის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს; მან დაარღვია კეთილი ტრადიციაო. მომხსენებელი მუდამ უმრავლესობის აზრის დამცველიაო.

**თავმჯდომარემ განაცხადა:** შემოვიდა განცხადება ჩერნიგოვის არჩევნების საქმის წარმოება გადაეცეს გამოსაძიებლად განყოფილებასაო. წინადადებას კენჭი უყარეს 190 ხმით 171 წინააღმდეგ. წინადადება მიიღეს.

ხელ-მეორედ უყარეს კენჭი წინადადებას. ხმა ორად გაიყო. წინადადებას მომხრე იყო 190, წინააღმდეგია 190.

შემდეგ კენჭის ყრით 164 ხმით 122 წინააღმდეგ ჩერნიგოვის გუბერნიის არჩევნები დაამტკიცეს.

სათათბირო გადადის იმ არჩევნების წეს-რიგის განხილვაზე, რომელზედაც საჩივარი მისული იყო. სათათბირომ არა პატივსაცემლად ჩასთვალა ზოგიერთი საჩივარი და დაამტკიცა მოგილიოვის, ჩერნომორის, ბაქოს, ელისავეტპოლის და ერევანის გუბერნიის არჩევნები. ოლქებისა ყუბანისა და თერგისა.

**მომხსენებელი პილიპენკო** წინადადებას აძლევს სათათბიროს დაამტკიცოს ნოვგოროდის არჩევნები, თუმცა არჩევნების მსვლელობა საგუბერნიო არჩევნებამდე ნორმალური არ იყო. მაგალითად გუბერნატორმა დამატებით არჩევნები არ დანიშნა ზოგიერთ ადგილებში.

**შინგარევი** წინადადებას აძლევს ნოვგოროდის გუბერნიის არჩევნების დამტკიცება გადასდოს, სანამ საქმე კარგად არ იქნება შესწავლილიო. მისი აზრით მთავრობამ მრავალჯერ დაარღვია კანონი: რამდენიმე ქალაქში და ერთ მაზრაში არ იყო დანიშნული დამატებითი არჩევნები. გუბერნატორი, რომლის საქციელმა კანონის ძირითადი დებულება დაარღვია კანონის წინაშე უნდა იყოს პასუხისმგებელიაო.

**მარკოვი მეორე.** მიუხედავად მრავალწლოვან ბოროტ სიტყვებისა მემარჯვენე პარტიები მუშაობდნენ მესამე სათათბიროში. ყოველი კანონი მემარჯვენეების თანხმობით გავიდაო.

**გერასიმოვი** შინგარიოვის წინადადების მომხრეა.

**ნეკრასოვი** მთავარ ყურადღებას იმას აქცევს, რომ ამ არჩევნებში საჭიროა პრინციპის თვალსაზრისით გადასწყდეს საერთო საკითხი: შეუძლიან თუ არ კენჭი იყაროს იმ პირმა, რომელმაც თვისი ჯერი გაუშვა თუ არა.

**პურიშკევიჩი** ამბობს: თავის დღეში არა ყოფილა მომხრე გუბერნატორის უფლების დაცვისა, მაგრამ მოვალედ მიაჩნია თავი უპასუხოს შინგარევს. შინგარევი უდიერად იხსენიებს იმ სახელმწიფო პირთა, რომელთაც თავისი თანამდებობით დაიმსახურეს პატივისცემა. საზოგადოდ მემარჯვენენი მეოთხე სათათბიროში მუდამ აჩვენებენ მემარცხენეებს ზრდილობის და თავაზიანობის მაგალითს (მარცხნივ სიცილია) და მიუხედავად მემარცხენეების პროვოკაციულ საქციელისა, რომელიც მეოთხე სათათბიროში უკვე გამოიჩინეს, მემარჯვენენი მაინც შესძლებენ სათათბიროს პრესტიჟის დაცვას (ძლიერი ტაშის ცემა ცენტრსა და მარჯვნივ).

**მომხსენებელი პილიპენკო.** ამბობს, თუმცა, ნოვგოროდის არჩევნებში კანონის დარღვევას ადგილი ჰქონდა, მაინც უკანონო მოქმედებამ ვერ შესცვალა არჩევნების შედეგიო. ამიტომ წინადადება შეაქვს არჩევნები დაამტკიცოს სათათბირომ და ადმინისტრაციის უკანონო მოქმედება აცნობოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. განყოფილების დანასკვი მიიღეს. წაკითხულ იქმნა განცხადება ხელმწიფე იმპერატორს მიერთვას უქვეშევრდომილესი ადრესი. ამისთვის დაინიშნოს ცალკე კომისია. თავმჯდომარემ აღუთქვა ეს განცხადება განიხილოს ახლო მომავალში.

შემდეგი სხდომა იქნება 1 დეკემბერს.

# სახელმწიფო საბჭო.

(დეპეშათა სააგენტოსაგ ნ)

**28 გიორგობისთვე.**

**აკიმოვი თავმჯდომარეობს.** მინისტრთა ლოჟაში სხედან მინისტრები: **კოკოვცევი** და **შჩეგლოვიტოვი.** განსახილველია იმ კანონ-პროექტების ბედი, რომელნიც სათათბიროს მიერ მოწონებულ არიან, მაგრამ მესამე სათათბიროს მათი მთლიანი განხილვა ვერ მოუსწრია.

**მომხსენებელი შებეკო.** კომისიამ განიხილა პრინციპიალური საკითხი კი არა მემკვიდრეობითის მუშაობისა, არამედ მხოლოდ 39 მესამე სათათბიროს მიერ დაუმთავრებელ საქმის ბედი. ამ ბოლო დროს ცნობილი მეცნიერნი დასავლეთისა აღიარებენ საკანონმდებლო დაწესებულების მემკვიდრეობითს მუშაობა ზოგიერთ სახელმწიფოებში არსებული მისი დარღვევა კი მხოლოდ ჩვეულებაზე ემყარება. ბელგიასა და საფრანგეთში მემკვიდრეობითი მუშაობა დაკანონებულია. ჩვენს კანონებში კი პირდაპირ არა არის რა ნათქვამი, თუმცა ნათქვამია: კანონი აღნიშნავს, რომ საბჭოში კანონ-პროექტების მიღება, უარყოფა და შეცვლა შეიძლება. მემკვიდრეობით წესის დამადასტურებლად ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩვენის კანონებით აკრძალულია კანონ-პროექტების შეტანა პირდაპირ საბჭოში. იქ სახელმწიფოებში, სადაც მემკვიდრეობითი წესია მიღებული, კანონ-პროექტების შეტანა შეიძლება როგორც ქვედა ისე ზედა პალატაში, რაიც ზედა პალატას უფლებას ანიჭებს განაგრძოს პროექტის დამუშავება, თუ ქვედა პალატამ შესაფერი მასალების მიწოდება ვერ მოასწრო. საბჭოს მიერ იმ კანონპროექტის განხილვა, სათათბიროს რწმუნებულების ვადის გასვლის შემდეგ, არ არღვევს საკანონმდებლო მუშაობის მთლიანობას სათათბიროსა, საბჭოსა და უმაღლეს მთავრობისას, ვინაიდან კანონმდებლობაში არსად არ არის ნახსენები ვადა კანონპროექტის განხილვისა. როდესაც საბჭო უარჰყოფს ძველ სათათბიროს მიერ მოწონებულ კანონპროექტს, საბჭო ამითი არ არღვევს ახალ სათათბიროს უფლებას, გზას არ უღობავს მას იგივე კანონპროექტი გაიყვანოს მიმდინარე სესიაში, რადგანაც კანონპროექტის შეტანა უმაღლესის ნებართვით შეიძლება შეტანილ იქნეს მიმდინარე სესიაში.

იმისი მტკიცება, ვითომც საბჭოს მიერ დადასტურება ძველ სათათბიროსაგან მოწონებულ კანონ-პროექტისა, შეედრება ისეთ კანონის გამოცემას, რომლის თაობაზედაც პირველ პალატას არ უმსჯელნია—ძალიან ნაკლებად არის საფუძვლიანი, რადგანაც სახელმწიფო უფლებათა ქვაკუთხედი — კანონ-დებულებითი აქტი სცოცხლობს ავტორის სიკვდილის შემდეგაც. ეს წესი სავსებით ეხება იმ იურიდიულ პიროვნებასაც, როგორიც სათათბიროა. არსებულმა სათათბირომ, თუნდაც შეიცვალოს აზრი მოწონებულ კანონ-პროექტის თაობაზე, უკან ხომ ვეღარ გაიტანს საბჭოდან ამ პროექტს.

ამ სახით მომხსენებლის აზრით საბჭომ უნდა იხელმძღვანელოს მემკვიდრეობითის წესით მესამე სათათბიროდან დარჩენილ კანონ-პროექტების განხილვის საქმეში.

მომხსენებელი სთხოვს საბჭოს, რომ მესამე სათათბიროს მიერ მოწონებული ყველა კანონ-პროექტებს საზოგადო წესით მისცეს მსვლელობა.

**კოვალევსკი** უერთდება მომხსენებლის დასკვნას, თუმცა აღნიშნავს, რომ ცნობილი მეცნიერნი მემკვიდრეობითს წესს სრულიადაც არ აღიარებენო: ბევრი მათგანი მომხრეა, ბევრი—წინააღმდეგიცაო.

**იუსტიციის მინისტრი.** მემკვიდრეობითი წესი დაკავშირებულია პარლამენტალიზმთან.

**თ-დი ლობანოვ-როსტოვსკი.** ეს წესი მონარქიის თანამგზავრია. საკითხი უნდა გადასწყდეს პრინციპიალურ მოსაზრებით კი არა პრაქტიკულის თვალსაზრისით, როგორც იქცევიან ხოლმე დასავლეთში.

**კოვალევსკის** წინადადება შეაქვს გრიმმის აზრს დაადგნენ. გრიმმის აზრით საბჭომ უნდა განაგრძოს მესამე სათათბიროს მიერ მოწონებულ კანონ-პროექტების განხილვა და თუ რაიმე გაუგებლობას წააწყდება, სათათბიროს დაუბრუნოს, ხელ-მეორედ განხილვისათვის.

კამათი დასრულდა.

საბჭომ დიდის უმრავლესობით კომისიის აზრი მიიღო.

შემდეგი სხდომა 3 ქრისტიშობისთვეს მოხდება. განსახილველია, სხვათა შორის, პროექტი ერობისა და ქალაქების ფინანსთა გაუმჯობესების კანონ-პროექტებისა.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **დიდის მთავრის ოლგა თევდორეს ასულის ძეგლის** ამგებმა კომისიამ ქალაქის მოურავს სთხოვა, გამოაცხადოს კონკურსი ძეგლის პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად.

✦ **ტრამვაის ახალი შტო.** ხმოსანმა ა. ს. ბაზოვმა ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა, რომლითაც საჭიროდ სთვლის, ქალაქის თვითმმართველობამ მიხეილის ქუჩა ჩერქეზიშვილის ქუჩასთან ტრამვაის შტოთი შეაერთოს. შტომ უნდა გაიაროს კიროჩნის ქუჩაზე. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, განცხადება განსახილველად გადასცეს ქალაქის საფინანსო და სატეხნიკო კომისიებს და შეეკითხოს ტრამვაის საზოგადოებას, ხომ არ იკისრებს ამ შტოს გაყვანას.

✦ **პოლიტეხნიკუმი.** ბაქოს ნავთის მრეწველთა, აგრეთვე ბოქოს ქალაქის საბჭოს იმ კრებებს, რომელზედაც უნდა გადაწყდეს საკითხი ტფილისის პოლიტეხნიკუმისათვის ფულის გადადების შესახებ, ტფ. ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

✦ **შეიპყრეს** სოფელ კასპის მცხოვრები გიორგი ივანეს ძე გზირიშვილი. მას ბრალად ედება 1905 წლის 15 ოქტომბერს ამავ სოფლის მცხოვრებ არუთინ [illegible] მოკვლა.

✦ **ან[illegible].** დღეს, [illegible] პირველ წოდებულის დღეს, ტფ. სასულიერო სემინარიის ეკლესია თავის დღესასწაულსა უქმობს. ეკლესიაში დღეს მწირველია ეგზარხოსის მოადგილე ეპისკოპოსი პიმენი. საღამოზე სემინარიის შენობაში სალიტერატურო-სამუსიკო საღამო გაიმართება.

✦ **მღვდელი-ექიმი.** წელს მოსკოვის უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე სახელმწიფო ეგზამენი დაიჭირა მღვდელმა ლეჟავამ, რომელიც ძმა არის საქართველოს მონასტრების ბლაღოჩინის არქიმანდრიტ ნაზარისა.

✦ 28 ნოემბერს, დილის 7 საათზე, „ლესოკულტურნი" მისახვევში რაჭის მცხოვრებ თადეოზ დავითის ძის ღვიმბრაძის (45 წ.) გვამი იპოვეს. გვამს ოთხი ჭრილობა აღმოაჩნდა. ამ მკვლელობის გამო ეჭვით შეიპყრეს რაჭისავე მაზრის მცხოვრები გიორგი გრიგოლის ძე დვალი.

✦ **საჩუქარი გამოფენაზე.** ფრინველთა მე-IX გამოფენაზე, რომელიც ამ დღეებში დასრულდა მოსკოვში, ფრინველთა მომშენებელმა ტფ. განყოფილებამ ნიმუშებისათვის უმაღლესი ჯილდო მიიღო (საპატიო ფურცელი).

✦ **სამხედრო ბეგარის ახალი კანონი** ძალაში შედის 1 ქრისტიშობისთვიდან.

✦ 8 ნოემბერს ტფილისში 59 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ 28 ნოემბერს სიონის ტაძრის კარებში ჩვრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს, მდედრობითის სქესისა, დაახლოვებით ერთის კვირისა,

## საზოგადოებანი და კრებები

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე სამეურნეო საზოგადოების სახლში შესდგება კრება ტფილისის **სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის** ძველ და ახალ წევრებისა.

## სასწავლებლებში

✦ **საბალოსნო სასწავლებლის** ბოლო კლასის მოსწავლენი, რიცხვით 12 კაცი, რომელნიც სასწავლებლის გამგის პ. გ. მელიას ხელმძღვანელობით ქართლში იყვნენ წასულნი ცხაბეგოვის მამულში პრაქტიკულ სამუშაოსთვის, ტფილისში დაბრუნდნენ.

## ქუთაისი.

✦ ქ. დორპატიდან **სტუდენტ დავით ულენტის** გვამს ქუთაისში მოასვენებენ პარასკევს, 30 ნოემბერს, დილის 6½ საათზე. დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 2 დეკემბერს, დღის 12 საათზე.

✦ კვირას, 2 დეკემბერს, დილით 12 საათზე ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება საისტორიო და საეთნოგრაფიო ქუთათურ საზოგადოების პირველი საზოგადო კრება.

✦ კვირა ღამეს, ბალახვნის ქუჩაზე ლავრენტი ხამაშურიძისა და მიხეილ ჩინჩალაძის სახლებს ცეცხლი გაუჩნდა და ორივე სახლი დაიწვა.

✦ ინჟენერი აპ. კობახიძე დაამტკიცეს ქიათურის სამთო-ტეხნიკური სასწავლებლის ხელმძღვანელად და მასწავლებლად.

# წვრილი კრედიტი ქუთაისის გუბერნიასა და ბათომის ოლქში

ამ უკანასკნელს დროს წვრილი კრედიტის დაწესებულებათა რიცხვი ძლიერ მატულობს. ხსენებულ დაწესებულებათა წინმსვლელობა და განვითარება მარტო რიცხვის მომატებაზე არ არის დამოკიდებული. ამხანაგობის გახსნა ადვილია, მაგრამ ხელმძღვანელობა და მისი მოქმედების სასურველ ნიადაგზე დაყენება კი ძნელი. ამ უკანასკნელისათვის საჭიროა ხელმძღვანელების მხრით დიდი ენერგია, ცოდნა, გამოცდილება, უანგარობა და სიყვარული საზოგადო საქმისადმი. ყველაფერი შეიძლება იყოს, მაგრამ, თუ კი რომელიმე დაწესებულებაში ხელმძღვანელები მიდგომ-მოდგომის და პირადი ინტერესების გზას დაადგნენ, მაშინ ამხანაგობის საქმე დაკარგულია. ასეთი ამხანაგობა ვერას დროს ვერ მოიპოვებს ნდობას და ვერც გაამართლებს საზოგადოების წინაშე იმ მოვალეობას, რომელიც მას აქვს დაკისრებული. ხსენებული სენი ყოველგან ჰღუპავს საქმეს და მით უმეტეს მას ცუდი გავლენა ექმნება საკრედიტო დაწესებულების მოქმედებაზე, სადაც მეტის მეტი ანგარიშიანობა და მიუდგომლობაა საჭირო. მაშასადამე კოოპერატიულმა დაწესებულებამ რომ ჯეროვანად ფრთა გაშალოს და განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწიოს, ამისთვის უმთავრეს პირობას და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ხელმძღვანელთა სასურველი შედგენილობა. კოოპერატიულ დაწესებულებათა ხელმძღვანელები უნდა იყვნენ ზედმიწევნით ფაქიზი ზნეობის და პატიოსნების კაცები, დაშორებულნი ყოველგვარ პირად ინტერესებს თავის მოქმედების დროს და აღფრთოვანებულნი კოოპერაციის იდეით. ასეთ ხელმძღვანელების ხელში საკრედიტო დაწესებულება სულ ადრე განვითარების უმაღლესს წერტილს მიაღწევს და საზოგადოების უსაზღვრო ნდობას და სიყვარულს მოიხვეჭს. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს თუ რა ძნელი მოსანახია ასეთი კაცები მიყრუებულ სოფლებში

ამ ორიოდე სიტყვის შემდეგ პირდაპირ საგანზე გადავალთ და წარმოუდგენთ მკითხველს წვრილი კრედიტის დაწესებულებათა მდგომარეობას ციფრებით—თუ რა მდგომარეობაშია წვრილი ანუ სახალხო კრედიტის საქმე ჩვენს გუბერნიაში და ბათუმის ოლქში, რაც შეადგენს სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილების მოქმედების რაიონს. ჩვენ მიერ შეგროვებული ცნობები ეხება წვრილი კრედიტის დაწესებულებათა მოქმედებას ამ წლის პირველი ივლისისათვის, მას შემდეგ კიდევ გაიხსნა რამდენიმე ამხანაგობა, მაგრამ ორი სამი თვის განმავლობაში საერთო სურათი მაინც დიდად არაფრით შეიცვლებოდა. ჩვენ ქვემოდ მოვიყვანთ წვრილი კრედიტის დაწესებულებათა სიას მაზრობით და აღნიშნული იქნება, თუ როდის გაიხსნა თვითეული ამხანაგობა, რას უდრის მისი ძირითადი თანხა და მოკლე ვადიანი სესხი, რა მდგომარეობაშია მიბარებული ფულების ანგარიში, წევრთა რიცხვი, მათი კრედიტი და ამხანაგობის უკანასკნელი საერთო ბალანსი.

**ქ უ თ ა ი ს ი ს მ ა ზ რ ა.**

(საკრედიტო ამხანაგობანი).

| | როდის გახსნილა. | ძირითადი თანხა. | მოკლე ვადიანი სესხი. | მიბარებული ფულების ანგარიში. | წევრთა რიცხვი. | მათი კრედიტი. | ბალანსი: |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუთაისის ხელოსანთა საკრედიტ. ამხანაგობა | 1911 წ. | 2000 მ. | 10.000 მ. | 2581 მ 68 კ. | 337 | 71.700 მ. | 15.665 მ. 34 კ. |
| 2. იანეთის . . . . | " | 2000 " | 3000 " | 582 " 17 " | 240 | 36.960 " | 6141 " 95 " |
| 3. კულაშის . . . . | " | 2500 " | 4000 " | 220 " — | 211 | 14.600 " | 7131 " 72 " |
| 4. დიმის . . . . . | 1912 წ. | 3000 " | 4000 " | 313 " 80 " | 190 | 13.250 " | 6766 " 18 " |
| 5. ოფიშქვითის . . . | " | 3000 " | 3000 " | 350 " — | 161 | 11.740 " | 4664 " 85 " |
| 6. ტყაჩირის . . . . | " | 3000 " | 4000 " | — — | 154 | 18.225 " | 5226 " 24 " |
| 7. უხუთის . . . . | " | 3000 " | 4000 " | — — | 67 | 8675 " | 3359 " 20 " |
| 8. წყალტუბის . . . | " | 3000 " | 3000 " | — — | 72 | 9800 " | 3185 " 13 " |
| ჯ ა მ ი . . | | 21.500 " | 35000 " | 4047 65 " | 1432 | 184950 " | |

ზემოდ მოყვანილ ცნობებიდან მკითხველი ჰხედავს, რომ ქუთაისის მაზრაში ამ წლის 1 ივლისს სულ რვა საკრედიტო ამხანაგობა ყოფილა, მათს ძირითად თანხას; შეადგენდა 21,500 მანეთს მოკლე ვადიანი სესხი უდრიდა 35,000 მანეთს, მიბარებული ფულების საერთო ჯამი მთელს მაზრაში ყოფილა 4047 მან. 65 კ., ყველა ამხანაგობებში წევრთა რიცხვი შეადგენდა 1432 კაცს, რომელთაც ჰქონიათ გახსნილი 185,950 მ. კრედიტი ხსენებულ რვა საკრედიტო ამხანაგობაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოდ **საკრედიტო დაწესებულების მდგომარეობას და მოქმედებას ყველაზე უფრო მიბარებული ფულების ანგარიში გამოჰხატავს**; ეს უკანასკნელი იმის მაჩვენებელია, თუ როგორი ნდობა დაუმსახურებია დაწესებულებას საზოგადოებაში და რანაირ მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული მისი მოქმედება. თუ რამდენ მისაბარებელ ფულს მიიზიდავს რომელიმე დაწესებულება ანუ ამხანაგობა—ამით განისაზღვრება მისი ნდობა და პრესტიჟი საზოგადოების თვალში. ამიტომ როდესაც ამხანაგობის მდგომარეობას ანუ გამგეობის მოქმედებას ვაფასებთ, უმთავრესი ყურადღება მიბარებულ ფულების ანგარიშს უნდა მიექცეს. ამ მხრით ხსენებულ რვა საკრედიტო ამხანაგობაში ყველაზე წინ სდგას ქუთაისის ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობა, რომელშიაც მიბარებული ფულების საერთო ჯამი შეადგენდა 2581 მან. 68 კაპ., რაც იმით აიხსნება, რომ ამ თანხაში შედის ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის მიერ შეტანილი ათასი მანეთი და სახალხო უნივერსიტეტის 500 მან. რომელთაც ქუთაისის ხელოსანთა ამხანაგობას თავისი ფულები მიაბარეს განსაკუთრებული შუამდგომლობის შემდეგ და მხარის დაჭერის სახით. თუ ამ 1.500 მან. გამოვრიცხავთ საერთო ჯამიდან—2581 მ. 68 კ. ქუთაისის ამხანაგობას დაურჩება თავისით მიზიდული 1081 მ. 68 კ. რაც ერთობ მცირე თანხად უნდა ჩაითვალოს საგუბერნიო ქალაქისათვის, სადაც 50.000-ზე მეტი მცხოვრებია და სადაც საკმაო პირობებია მიბარებული ფულების ანგარიშის გასაძლიერებლად, თუ ამხანაგობა თავის მოქმედებას მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს და შესძლებს ქალაქის მცხოვრებთა ნდობის მოპოვებას. ხსენებულ რვა ამხანაგობიდან სამს: ტყაჩირის, უხუთის და წყალტუბოსას სრულიად არ ჰქონდათ მიბარებული ფულები, რაც იმით აიხსნება, რომ ეს ამხანაგობები ახალი გახსნილია, მაგრამ სულ რომ ცოტა ყოფილიყო გამგეობას მაინც უნდა მოეხერხებია თავის რაიონში მისაბარებელი ფულების მიზიდვა. ამ მხრით კარგ მდგომარეობაში არც დანარჩენი ოთხი ამხანაგობაა ქუთაისის მაზრაში—იანეთის, კულაშის, დიმის და ოფიშქვითის, რომელთაც საერთოდ ძლივს მიუზიდავს 1300 მან. თუმცა მათი მოქმედების რაიონი ძლიერ მდიდარია.

✦ ჭიათურის ხაზინის სადგომი სიჩქარით შენდება. უკვე დასრულებულია ქვის ყოველივე სამუშაო.

✦ ტფილისის ქალთა უმაღლესის კურსების გამგე კომიტეტი სთხოვს შავიქვის მრეწველთა XV კრებას წინანდებური დახმარება აღმოუჩინოს ფულით კურსებს.

✦ ხონის პროგიმნაზიის ექიმად მ. რატიანი დაუნიშნავთ.

✦ ზუგდიდის და ხეთას შუა ვინმე მხეიძეს ბოროტ-გამზრახველები თავს დასხმიან. წაურთმევიათ 50 მანეთი, საათი, ყაბალახი რევოლვერი და მიმალულან.

✦ გურიაში **ნავთის დამუშავება** სამ-ოთხ ფირმას დაუწყვია, მუშაობის დაწყების გამო მიწის საიჯარო ფასიც აწეულია. („იმერეთი").

## სოფლად

✦ **მცხეთა.** კვირას, ორ ქრისტიშობისთვეს, შუადღისას, მცხეთაში დანიშნულია ლ. ცაგარლის გამოგონილი **ახალ გუთნის გამოცდა.** გამოცდას, სხვათა შორის, დაესწრებიან ქართულ სამეურნეო საზოგადოების მიერ საგანგებოდ დანიშნული მცოდნე პირნი.

✦ **სოფ. ფხვენისი.** (ქართლი) წვრილი კრედიტის ინსპექტორმა დ. ყ. ჩხეიძემ გახსნა **წვრილი კრედიტის ამხანაგობა:** გამგეობის წევრებად ფხვენისის საზოგადოებამ 19 გიორგობისთვეს აირჩია ზურაბ გ. აბდუშელიშვილი, ვასილ ლ. ზედგინიძე და დავით ი. ციცქიშვილი. მათ კანდიდატად: იოსებ ე. ეგაძე და ისაკ პ. მულაძე.

ამ ჟამად ს. ფხვენისში **ყელთმა მძვინვარებს.** რომელ ოჯახსაც შეუდგა რამდენიმე იმსხვერპლა, საჭიროა ექიმის დახმარება.

აქეთ მშვენიერი **თბილი მზიანი ამინდებია.**

## ჟურნალისტის დღიური

100.

**დანაშაულობა.**

ბევრნაირი დანაშაულობა ყოფილა, თურმე, ქვეყანაზე. მაგალითად, თუ შენ ვისმეს ისეთი გაზეთის თანამშრომლად მიაჩნიხარ, რომლის თანამშრომლად ნამდვილად არა ხარ, და ეს გაზეთის საშუალებით აუწყე მკითხველებს, ამას დანაშაულობად ჩაგითვლიან. მაგრამ თუ ასეთს განცხადებას კიდევ ის დაუმატე, რომ ამა და ამ გაზეთის თანამშრომელი იმიტომ არა ვარ, რომ იგი „ორპოფულიაო", მაშინ ჯვარს გაცვამენ. სწორედ ასე დაემართა გორის გაზეთ „ქართლი"-ს რედაქტორსაც. ჩვენს გაზეთში ჩვენივე გორელი კორესპონდენტი აცხადებდა, მე „ქართლი"-ს თანამშრომელი არა ვარო. სხვა ამნაირს განცხადებას, კანცელარიის ენით რომ გამოვსთქვათ, ცნობად მიიღებდა. „ქართლი"-ს რედაქტორმა კი საჭიროდ დაინახა „პასუხის" დაწერა და მერე ისიც როგორი პასუხისა! აბა მოისმინეთ.

„სახალხო გაზეთი"-ს კვირის ნომერში, 25 ნოემბრის თარიღით, ვიღაც სანგანიძე უდიერად იხსენიებს ჩვენ გაზეთს „ქართლს" და საჯაროდ აცხადებს, რომ იგი „არა ყოფილა, არც არის და არც იქნება ჩვენი თანამშრომელი". ჩვენ საჯაროდ ვამოწმებთ ამას და მოხარულნი ვართ, რომ სანგანიძისთანა უკმეხი თანამშრომლები არა გვყავს და თავის დღეშიაც არ გვეყოლება. ვაფასებთ-რა ჩვენი მკითხველების დროსა და ხულის სიმშვიდეს, ჩვენ ჩვენსავე გაზეთში უპასუხოდ ვტოვებთ სანგანიძის აბდა-უბდას.

ვაცხადებ კი საქვეყნოდ, რომ სანგანიძე ერთი იმათთაგანია, რომლებიც ჩრჩილივით შესჩენიან ჩვენს რედაქციას დღიდან მისის დაარსებისა, და მოსვენებას აღარ გვაძლევენ, მაგრამ ჩვენ სანგანიძეებისა არ გვეშინიან და ღრმადა გვწამს, რომ მოვა დრო, დაინგრევა ამ ვაჟბატონების მიერ აგებული „ბჭენი ჯოჯოხეთისა" და ჩვენი მკითხველების უმრავლესობა თითონვე დასდებს მსჯავრს სანგანიძეებს და მათ ბაქი-ბუქსაცა".

ერთის სიტყვით, ისეთის რიხითა და ზეიმითაა დაწერილი, თითქოს „ქართლი"-ს რედაქტორს ალა-მაჰმადხანის ურდო შემოსევოდეს. ის და აკლია. რედაქტორს, რომ დონ-კიხოტის ფარ-ხმალი შეისხას და ისე გამოვიდეს საბრძოლველად „ჯოჯოხეთის ბჭეთა" დასანგრევად. ასეთს კომიკურს შთაბეჭდილებასა სტოვებს „ქართლი"-ს რედაქტორის უადგილო და უსაფუძვლო პათოსი. „ქართლი"-ს რედაქტორს ყოველგვარი ღონე უხმარია, რომ „ვიღაც" სანგანიძე „ბოროტ გენიად" დაესახა, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს. სანგანიძემ, როგორც ერთმა კორესპონდენტთაგანმა, აუწყა საზოგადოებას, რომ იგი „ქართლი"-ს თანამშრომელი არ არის ◊ არც იქნება, სანამ ხსენებული გაზეთი ორპოფულ პოზიციას არ გამოიცვლის. თუ „ქართლი"-ს რედაქტორს რამე შეეძლო, უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი ორპოფული არ არის. თუ იგი, საბუთების ნაცვლად, ლანძღვა-გინებით უმასპინძლდება სანგანიძეს, სჩანს მისი სიტყვები სწორედ „კაკალ გულში" მოჰხვედრია.

დასასრულ, უნდა მოვახსენოთ „ქართლი"-ს რედაქტორს, რომ არც ჩვენ და არც სანგანიძეს, რამდენადაც იმას ჩვენი რედაქცია იცნობს, საზოგადოდ „ქართლი"-ს წინააღმდეგნი არა ვართ; ჩვენ სიამოვნებით მივეგებეთ „ქართლი"-ს დაარსებას გორში, ეხლაც იმ აზრისა ვართ, რომ ამ გაზეთს დიდი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს არა მარტო თვით ქალაქ გორს, არამედ მთელ გორის მაზრას. სასურველია და სასიამოვნოც იქნება, თუ გორის გაზეთი ისეთს ნიადაგზე დაემყარება, რომელიც შემდეგში მაინც შეუძლებლად გაჰხდის ორპოფულ მდგომარეობას და თუ ის რედაქტორის პირადს ორგანოდ დარჩება, თუ იგი გადაიქცევა ისეთს გაზე ად, რომელმაც მხოლოდ თვით რედაქტორის აღშფოთებულ ნერვების დამშვიდებას უნდა შეუწყოს ხელი,—მაშინ დღეს თუ არა, ხვალ მაინც, საუბედუროდ, გაზეთს ყოველ-გვარი გავლენა დაეკარგება.

ჩაუფიქრდნენ ამას გამომცემლები მაინც, თუ თვით რედაქტორი ვერ უფიქრდება, და დროზე მიიღონ ზომები. **შინაური.**

## დეპ. გელოვანის წერილი.

გაზეთ „დენ"-ის მე-53 ნომერში მოთავსებულია დეპუტატ გელოვანის წერილი, რომელიც უცვლელად მოგვყავს:

„პეტერბურგში ჩასვლისას, 14 ნოემბერს, მეგობრებმა შემატყობინეს, რომ „დენ"-ში მოთავსებული იყო ინტერვიუ მესამე სათათბიროს დეპ. გეგეჭკორთან, რომ ამ ინტერვიუში გეგეჭკორი დაუჯერებელ ამბებსა სწამებს სოციალისტ - ფედერალისტებს და სხვა.

თუმცა მე ყველაფერს მოველოდი, მაგრამ ინტერვიუს შინაარს რომ გავეცანი, გაოცებული დავრჩი: სინამდვილემ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა. დარწმუნებული ვიყავი, თუ წარმომადგენელი პოლიტიკურ დიდ პარტიისა რაიმე ბრალსა სდებს პოლიტიკურსავე პარტიას ან კერძო პირებს საპოლიტიკო დიდ გაზეთის ფურცლებზე, უნდა ჰქონდეს ბრალმდებელს რაიმე დამამტკიცებული საბუთი მის მიერვე წამოყენებულ ბრალდებისა, ან ბრალდება სინამდვილეს ოდნავ მაინც შეეფერებოდეს.

მე კი შემიძლიან საბუთებით დავამტკიცო, რომ არც ერთი ბრალდება, გეგეჭკორის მიერ წამოყენებული სოციალ - ფედერალისტების წინააღმდეგ, სინამდვილეს სრულიადაც არ შეეფერება, და რაც უფრო საოცარია, გეგეჭკორი სოც.-ფედ. უკიჟინებს იმას, რაც საბუთების მიხედვით შეგვიძლიან გეგეჭკორს და მის თანამოაზრეებს მივაწეროთ და არამც და არამც ფედერალისტებს. მეტი არ იქნება ვსთქვა, ჩემი პასუხი გეგეჭკორის მიმართ იმიტომ არის დაგვიანებული, რომ სიმართლის აღსადგენად ვიშოვე რამდენიმე საბუთი, შევკრიბე, ერთმანეთს შევადარე და გადავეცი ჩემ ჯგუფს იმ პირთა გადასაცემად, რომელთაც შეუძლიანთ მიუდგომლად განსაჯონ მომხდარი ინციდენტი.

მთავარი ბრალდება, გეგეჭკორის მიერ წამოყენებული ჩემსა და სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წინააღმდეგ შემდეგია:

1. ვითომც სოც.-ფ. ორჯერ განასაჩივრეს ქუთაისის ამომრჩევლების არჩევნები და ერთხელ ფოთისა და ამ რიგად სოც.-დემ. დაუკარგეს 5 ხმა.

2. ეს ხუთი ხმა რო არ დაჰკარგოდათ სოციალ-დემოკრატებს, გამარჯვება ვითომ და მათ დარჩებოდათო.

3. ადმინისტრაცია განზრახ ასაჩივრებდა არჩევნებს და სოც.-ფედ, ინტერესებს ემსახურებოდაო.

3. ქუთაისის გუბერნიის გლეხები არა მთვლიან თავიანთ წარმომადგენლად და რწმუნებულება მათი ინტერესების დაცვისა სოც.-დემ. მიანდესო.

გადაჭრით ვამტკიცებ. სო.-დემოკ. არჩევნების გამო ს.-ფ. არც ერთხელ არ აღუძრავთ საჩივარი. ვგონებ არც გეგეჭკორს შეუძლიან არ დამეთანხმოს ამაში, რადგანაც მშვენივრად იცის, თუ ვინ განასაჩივრა პირველი არჩევნები ქუთაისისა, რასაც მოჰყვა თვით გეგეჭკორის გადაყენება. ეს იყო ბ. ჩ—ძე, ერთი მცირე რიცხოვან კადეტთაგანი. აგრეთვე არავითარი ურთი-ერთობა აქვს ბ. №-ს (საუბედოროდ გვარი არ მახსოვს) სოც.-ფედერალისტებთან, ვინც მეორე არჩევნები განასაჩივრა.

თუ გეგეჭკორი ნებას აძლევს თავის თავს და ბრალს სდებს სოციალ-ფედერალისტების პარტიას სოციალ-დემოკრ. არჩევნების განსაჩივრებაში, მაშინ უნდა დამეთანხმოს, რომ სოც.-ფედ. არა ნაკლები უფლება აქვთ ბრალი დასდონ გეგეჭკორს და მის თანამოაზრეებს სენაკის მაზრის არჩევნების განსაჩივრებაში. (სწორე იმ მაზრის არჩევნებში, საცა მემამულეებმა გაამწევს გეგეჭკორი), იქ გავიდა თავ. ჩ. უეჭველი წინააღმდეგი სოც.-დემ. და ჩემი კანდიდატურის მომხრე. საჩივრის გამო არჩევნები ხელ-მეორედ დანიშნეს და თავ. ჩ-ს მოუსპეს სახსარი არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

განსაჩივრებული იყო აგრეთვე ჩემი არჩევნებიც, ლეჩხუმის მაზრაში. ხელმეორედ მომიხდა კენჭის ყრა. თუ ამ მოვლენას გეგეჭკორის თვალსაზრისით შევხედავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ საჩივრების ავტორნი სოც.-დემოკრატების პარტიის წარმომადგენელნი იყვნენ. ეხლა მივხედოთ, რამდენად მართალია გეგეჭკორი, როცა ირწმუნება: თუ ქუთაისის და ფოთის არჩევნები განსაჩივრებული არ ყოფილიყო და 5 ხმა არ დაჰკარგოდა სოც.-დემოკრ. გამარჯვება მათთვის უზრუნველყოფილი იყოო. მაგრამ ქუთაისის არჩევნების განსაჩივრებას წინ უძღოდა აქტი ადმინისტრაციის თვითნებობისა.

რათა ხელი შეეშალათ გასულიყო ამომრჩევლად თ. კიტა აბაშიძე სოც.-ფედ. პირველ კანდიდატად, ადმინისტრაციამ შეუერთა მეორე კურიის სამი მაზრის ამომრჩევლები ქ. ქუთაისს და უწყება სწორედ იმ დროს დაურიგა, როცა უკვე დაგვიანებული იყო და ქუთაისის არჩევნებს ველარ ჩაუსწრობდნენ.

ადმინისტრაციამ მიზანს მიაღწია—აბაშიძე, პირველი და მეორე სათათბიროს ამომრჩეველი, ეხლა ვერ გავიდა ქუთაისის არჩევნებში; იგი სოც.-დემოკრატებმა დაამარცხეს.

ბ. გეგეჭკორო, ვინ უფრო არ უნდოდა ადმინისტრაციას? მიუხედავად ამისა, მაინც ვერ მოახერხეს ჩვენი უმრავლესობის მოსპობა.

ბ. გეგეჭკორს ხომ არ შეუძლიან არ აღნიშნოს ის ფაქტი, რომ საგუბერნიო არჩევნებზე სოც.-ფედ. ჰქონდათ 18 ხმა, სოც.-დემ. კი მხოლოდ 12. თუ ამას მიუმატებთ სოციალ-დემოკრატების კიდევ 5 ხმას, გამოვა 17.

რაც შეეხება იმ სამ შავ კენჭს, რომელიც მივიღე, მგონია დამეთანხმება გეგეჭკორი, რომ ის კენჭები იმ პირთ ეკუთვნის, ვინც ერთნაირად მტრულის თვალით უყურებს როგორც სოც.-ფედ., ისევე სოც.-დემოკრატ. ძალთა განწყობილების აწონ-დაწონვაში ის სამი ხმა ორივე პარტიამ უნდა უკუაგდოს.

ეხლა ადმინისტრაციის დახმარებაზე.

ბ. გეგეჭკორს არ შეუძლიან დაასახელოს ერთი ფაქტი მაინც ამის დასამტკიცებლად. მე კი შემიძლიან სინამდვილის მიხედვით სრულიად წინააღმდეგი დავამტკიცო.

თავ. აბაშიძის ამბის გარდა, ზემოდ რომ მაქვს აღნიშნული, მოვიყვან ერთ ფაქტს. ქუთაისიდან გადაასახლეს ბ. კ. იმის გულისათვის, რომ ერთ კრებაზე ის სოც.-ფედ. კანდიდატურს უჭერდა მხარს.

ეს კიდევ ცოტაა. დანამდვილებით ვიცით, რომ უმაღლესს მთავრობის წარმომადგენლებს არა ერთხელ და ორჯელ გამოუთქვამთ სურვილი, რომ კომისიას არ განესაჩივრებინა ქუთაისის არჩევნები (მე ვიცნობ იმ პირებს, ვისაც ეს უთხრეს). ამ თავიანთ სურვილს იმით ასაბუთებდნენ, რომ თუ მემარჯვენის გაყვანა ვერა ხერხდება, დეე ისევ წავიდეს სათათბიროში სოც.-დემ., ვიდრე სოც.-ფედ., რადგანაც ს.-დემოკ. არ წამოაყენებენ ნაციონალურ პრობლემათა იმ მწვავე გეგმას, რაიც ადმინისტრაციისთვის ფრიად საჩოთირო იქნება.

დამრჩა უკანასკნელი ბრალდება: მე ქუთაისის გუბერნიის გლეხებმა არ ამირჩიეს და მათ ინტერესების დამცველი არ ვარო.

მართლა, 8 გლეხ ამომრჩეველში 7 ჩემი წინააღმდეგი იყო, მაგრამ ეს ის გლეხები იყვნენ ვინც ამომრჩევლად გავიდნენ, როგორც სოც.-დემოკრატები, და მაშასადამე საარჩევნო კრებებზე უნდა დამორჩილებოდნენ პარტიის დირექტივებს. აქ ისინი ისე ჰმოქმედებდნენ ერთის მხრივ როგორც პარტიის ხალხი, მეორეს მხრივ ისინი ექვემდებარებოდნენ ისეთ გარემოებას, რომლის დასახელებას საჭიროდ არა ვთვლი. სოციალ-დემოკრატები პარტიის სასარგებლოდ, რომელიც როგორც ჩვენ, სოც. ფედერალისტები, მოვალე არის ემსახუროს დემოკრატის ინტერესებს და მის თავისუფლებას".

## ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგ. კრება

29 ნოემბერს მოხდა საზოგადოების საბჭოს წევრთა კრება თავ. ს. რ. ვახვახიშვილის თავმჯდომარეობით, კრებას უნდა შეემუშავებინა საზოგადოების აგრონომების მომავალი წლის მოქმედების გეგმა. მაგრამ ჯერ მოისურვა წარსული წლის მოქმედების ანგარიშის მოსმენა. ანგარიშები წაიკითხეს აგრონომებმა: ე. კარბელაშვილმა, რომელიც მუშაობდა ქართლის რაიონში და გ. საყვარელიძემ — კახეთის რაიონში. საბჭოს აზრადა ჰქონდა აგრონომების წარსული წლის მოქმედების ანგარიში საფუძვლად დაედო მომავალი წლის მოქმედების გეგმისათვის. მაგრამ წევრების უმეტესობამ საჭიროდა სცნო ახალ გეგმის შემუშავება. ამიტომ გადასაწყვეტად დაისვა პრინციპიალური საკითხი. აგრონომების მოქმედება განსაზღვრულ იქნეს რაიონის ერთ რომელიმე განსაზღვრულ ადგილით, თუ ეს მოქმედება ვრცელდებოდეს მთელ რაიონზე. (ე. ი. მოძრავი მოქმედება იყოს). ამ საკითხის გამოკვლევა და გადაწყვეტა გადაიდო შემდეგ კრებისათვის, რომელიც დანიშნულია შაბათს, 1 დეკემბრისათვის.

შემდეგ კრებამ განიხილა ბ. გაჩეჩილაძის თხოვნა, რომ საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრას რათა მას, გაჩეჩილაძეს, ნება დართონ **ლისის** ტბის წყლით ისარგებლოს. ბ. ყაზახაშვილმა განმარტა, რომ ამ ტბის წყლით სარგებლობა ძლიერ ავნებს როგორც ადგილობრივ მცხოვრებლების, მომიჯნე ადგილებს, ისე თვით ტბას, რადგანაც წყალი ტბაში ცოტაა და ორი წლის სარგებლობის შემდეგ მხოლოდ ჭაობიღა დარჩება. კრებამ შესაძლოდ ვერა სცნო ამ საქმეში ჩარევა რადგან ეს კერძო პირისა, ◊ წყალთა უწყების საქმეაო.

## სასამართლო

### ექიმ პრიანიშნიკოვის მოკვლის საქმე.

1911 წლის 22 მაისს ბათომში საზარელი ამბავი მოხდა, ვიღაც უცნობნი თავს დაესხნენ ექიმს ვალენტინს ნიკოლოზის ძეს პრიანიშნიკოვს და სასიკვდილოდ დაჰკრეს.

ექიმი პრიანიშნიკოვი დიდხანს სცხოვრობდა ბათომში, საქალაქო საავადმყოფოს დირექტორად იყო და როგორც პატიოსანსა და უანგარო კაცს საყოველთაო პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. მისის მოკვლის ამბავმა თავზარი დასცა მთელს ბათუმს და ყველა იმას, ვინც კი, იცნობდა განსვენებულს.

ამ საქმის გამო ჩქარა პოლიციამ შეიპყრო რამდენიმე პირი და სასამართლოს გადასცა.

საქმის გარჩევა დაიწყო 24 ნოემბერს ბათომში, კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს სესიაში.

სასამართლოს წინაშე წარსდგა 12 კაცი: ვარლამ დათუნაშვილი, 23 წლისა, მიხეილ გუგუნავა 27 წლისა, მარიამ ბებურიშვილი 28 წ., იგორ ირლაძე 26 წ., დანიელ ჟღენტი 21 წ., ერმოლოზ დოლიძე 30 წ., ფრიდონ სიამაშვილი 27 წ., რაჟდენ იმედაიშვილი 24 წ., ალექსანდრე ხომერიკი 28 წ., იაკინთე გიორგაძე 26 წ., არიფ-ჩაუშ-ოღლი ბერიძე 25 წ. და პეტრე თოდრია 21 წლისა.

მ. ბებურიშვილს, პ. სიამაშვილს და ი. გიორგაძეს ბოროტ-მოქმედების დაფარვა ბრალდებათ, ხოლო დანარჩენს 9 კაცს—გაძარცვის აზრით შეიარაღებული თავდაცემა და სასიკვდილოდ დაჭრა ექიმ პრიანიშნიკოვისა.

საქმის გარემოება შემდეგია:

ექიმი პრიანიშნიკოვი ზაფხულში თავის ოჯახით (ცოლით და მცირეწლოვან ვაჟით) და მოსამსახურით საავარაკოდ იყო წასული ბათომიდან 4 ვერსის მანძილზე მდებარე აგარაკ „ყარადეგე"-ში.

შებინდებისას, 22 მაისს 1911 წელს, ექიმის სახლის ეზოში ძაღლის საშინელი ყეფა ასტყდა. ექიმი გარედ გამოვიდა და ეზოდან სახლის აივანზე მომავალ კიბეზე ორი უცნობი დაინახა, აგრეთვე ნახა თავისი მოსამსახურე დ. ჟღენტი, რომელიც უცნობებისკენ გაემართა. მათ ჰკითხეს, ექიმი სახლშია თუ არაო. ჟღენტმა უცებ უპასუხა, არაო. ექიმმა თითქოს იგრძნო, რომ საფრთხე მოელოდა და სახლში შებრუნდა. აივანზე ექიმის ცოლი და შვილი დარჩნენ. ექიმი სახლიდან რევოლვერით გამოვიდა სწორედ იმ დროს, როდესაც მისმა ცოლმა [illegible] მო კიბიდან [illegible]. უცნობი [illegible] რი ისროლა ორჯერ, რომლითაც ექიმი დასჭრა. ექიმმა თავის მხრითაც ორჯელ ისროლა რევოლვერი და შემდეგ ცოლ-შვილით სახლში ჩაიკეტა. ამის შემდეგ აივანზე რამდენიმე უცნობი გაჩნდა. ისინი სულ რევოლვერებს ისროდნენ და თან კარებს აკაკუნებდნენ, გააღეთ, თორემ ყველას ამოგხოცავთო. ამ დროს ეზოშიც დიდი სროლა იყო. პრიანიშნიკოვმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და კარების ფანჯრიდან ბოროტ-მომქმედთ ერთხელ ესროლა რევოლვერი და შემდეგ დასუსტდა და ლოგინში ჩაწვა. უცნობებმა ორჯელ-სამჯერ კიდევ ისროლეს და წავიდნენ.

პრიანიშნიკოვი რამდენისამე დღის შემდეგ ჭრილობისგან გარდაიცვალა.

ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ ბათომის მეოთხე უბნის ბოქაულმა ჩხიკვაძემ მიიღო ცნობა, რომ თავდაცემაში, სხვათა შორის, მონაწილეობა მიიღეს დოლიძემ, კვენტაიამ, იმედაშვილმა, ცელაძემა და ცქვიტაშვილმაო. მათ დახმარებას აძლევდა ჟღენტიო. ყველა ეს პირნი შეიპყრეს.

დანარჩენ სხვა დამნაშავეთაგან ზოგი ვერ შეიპყრეს, ზოგი ძოკლულ იქმნა და ზოგიც ციხეში გარდაიცვალა.

წინასწარ გამოძიების დროს ყველა ბრალდებულმა უარჰყო თავისი დანაშაულობა.

სასამართლოში გამოწვეული იყო 100 მოწმე.

საქმის გარჩევის დროს, 24 ნოემბერს, სასამართლოში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი.

დილის 10 საათზე დამნაშავენი, ბორკილებ დადებულნი და ერთმანეთზე გადაბმულნი, გაძლიერებულ რაზმის თანხლებით სასამართლოს დარბაზში მოიყვანეს.

პირველს საათზე საბრალმდებლო ოქმის კითხვას შეუდგნენ, რომელმაც ორს საათს გასტანა.

სასამართლოს თავჯდომარე ბრალდებულთ შეეკითხა, დამნაშავედ სცნობთ თავსა თუ არაო.

ჟღენტმა, წელაძემ, დოლიძემ, დათუნაიშვილმა, იმედაიშვილმა, გიორგაძემ, ბერიძემ, თოდრიამ და მარიამ ბებურიშვილმა თავის დანაშაულობა უარჰყვეს.

ხომერიკმა და გუგუნავამ თავი დამნაშავედ აღიარეს და სხვა მონაწილეთაც დაადეს ხელი. გუგუნავამ თავის ჩვენებას ისიც დაუმატა: „მე შებრალების ღირსი არა ვარ. ჩამოხრჩობა დავიმსახურე და დამსაჯეთ"-ო.

ამის შემდეგ სასამართლო მოწმეთა დაკითხვას შეუდგა, რამაც სამს დღეს გასტანა.

28 ნოემბერს, საღამოს, სასამართლომ თავისი განაჩენი გამოაცხადა, რომლითაც გიორგაძესა, იმედაიშვილსა, ხომერიკსა, გუგუნავასა, ბერიძესა და თოდრიას ჩამოხრჩობა მიუსაჯა, ჟღენტს—15 წლის კატორგა, ხოლო სიამაშვილს—4 თვის ციხე. დანარჩენი ბრალდებულნი გაამართლა.

## მოწერილი ამბები

**კარდანახი** (კიზიყი) კარდანახში არსებობს სამეურნეო კომიტეტი, რომლის თაოსნობითაც შემდგარმა ამხანაგობამ, გამოიწერა ახალი გაუმჯობესებული გუთანი, ფარცხი ◊ სხვ. გუთანი საყურადღებოა მით, რომ თითქმის თორმეტ გოჯზე ხნავს ◊ ვაზის დასარგავად საუკეთესოა. სიღნაღ—თელავის, რაიონის აგრონომმა საყვარელიძემ მოიტანა სათესი მანქანა, რომელიც მწკრივად სთესს და მიწას თვითვე აყრის. ადგილობრივ მკვიდრნი დიდის თანაგრძნობით უყურებენ ამ მანქანებს.

**კარდანახელი.**

**დ. ჭიათურა.** ახლად მოსული ექსპორტიორი ან შავი-ქვის სარეცხ მანქანას დასდგავს ან და ჭიქაურში იწყებენ მუშაობას. აქა ყიდულობენ ქვის დასაყრელ ალაგს, სდგავენ სასწორს და სხვა. ამითი იხელძღვანელა შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ როდესაც გამართა საუკეთესო ტეხნიკური ქვის ჩამოსაშვები.

ჭიქაურში არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობს. გულმოდგინე მოთავე რომ გვყავდეს ვინმე, აქ საქმის მოგვარებაც ადვილი იქნებოდა. აუარებელი ხალხი იყრის თავს და ბიბლიოთეკა მაინც რომ არსებობდეს უმრავლესობა თუ არა ნახევარი მაინც ჩამოსცილდება „ძმა-ბიჭთა" ჯგუფს და სამკითხველოს წევრი შეიქნება. **კ—ა.**

### ქუთაისის მაზრა.

(შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი.)

| | როდის გახსნილა. | წევრთა ფული ძირითადი თანხა.) | მოკლე ვადიანი სესხი. | მიბარებული ფულის ანგარიში. | წევრთა რიცხვი. | მათი კრედიტი. | ბალანსი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. განირო-ქუთირის | 1900 წ. | 4203 მ. 5 კ. | 2000 მ.— | 1030 მ.58 | 113 | 15315 | 8248—70 |
| 2. დიდი-ჯიხაიშის | 1888 | 32326—07 | 5000 — | 14824—99 | 720 | 88914 | 61466—46 |
| 3. კუხის | 1904 | 5599 40 | 4000 — | 5414—40 | 221 | 27230 | 17002—07 |
| 4. ნახახულევის | 1896 | 11153—86 | 4000 — | 5690—48 | — | — | 24549—34 |
| 5. სამტრედიის | 1899 | 12328—04 | 10000 — | 3988—49 | 249 | 37350 | 23919—46 |
| 6. ხონის | 1897 | 5168—30 | 3000 — | 4640— „ | 139 | 25280 | 20144—42 |
| 7. ხონის „სარგებლობა" | 1904 | 3964 41 | 2000 — | 5084—01 | 102 | — | 12468—41 |
| 8. ვანის | — | 2560— „ | 4000 — | 2669—29 | 252 | 25200 | 1636—02 |
| 9. გუბის | — | 1938— „ | [illegible] | 5160—13 | 170 | 17360 | 8163—95 |
| 10. გორა-ჯიხაიშის | — | 16508—12 | | 8632—22 | 507 | 50700 | 32263—13 |
| 11. ივანდიდის | — | 3085—11 | | 3951—90 | 125 | 12920 | 7806—53 |
| 12. ფარცხა-ნაყანევის | — | 4283—87 | | 2316— „ | 116 | — | 9312—15 |
| 13. ჩოგანის | — | 5565—39 | | 2637— „ | 159 | 16115 | 9276—64 |
| ჯამი .... | — | 108683—62 | 34000 — | 66039—49 | 2873 | 316384 | — |

ქუთაისის მაზრაში სულ 13 შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობაა; საწევრო ფულებიდან შემდგარი მათი ძირითადი თანხა შეადგენდა 108,683 მან. 62 კაპ., მოკლე ვადიანი სესხი მიუღიათ სახელმწიფო ბანკიდან 34,000 მ., მიბარებული ფულის ანგარიშზე ყველას ერთად მიუზიდავს 66039 მ. 49 კაპ., წევრთა რიცხვი—2873 და მათი კრედიტი ამხანაგობებში 316384 მან. უდრიდა. ხსენებულ ამხანაგობებში პირველი ადგილი უჭირავს დიდი ჯიხაიშის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას, რომელსაც წევრებზე გაუცია სესხად არანაკლები 50,000 მან., მიბარებულ ფულის ანგარიშით მიუზიდავს 14.824 მან. 99 კაპ., მშვენიერად მოუწყვია სასოფლო აფთიაქი, სადაც დაქირავებულია ექიმი და ფერშალი და რითაც დიდს სამსახურს უწევს იქაურს საზოგადოებას იაფი წამლისა და საექიმო დახმარების მიწოდებით.

ამხანაგობის მიერ თავისი პირდაპირი დანიშნულების ასრულებას, რომ თავი დავანებოთ, საზოგადო აფთიაქის მოწყობა და საექიმო დახმარების მიწოდება ხალხისათვის ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ვერავითარი საზოგადო საქმე ვერ შეედრება. შემდეგ აღსანიშნავია კუხის, სამტრედიის, ხონის და ხონის „სარგებლობის" ამხანაგობათა მოქმედება. საზოგადოდ წვრილი კრედიტის დაწესებულებათა მოქმედება ყველაზე უფრო განვითარებულია ხონის ახლო მახლო რაიონში, სადაც განსვენებული ნესტორ წერეთელი მოღვაწეობდა და რომელმაც პირველად მისცა ხალხს მაგალითი თანამშრომლობის და შეკავშირებისა, რაც აუცილებელი პირობაა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების აღორძინებისა.

(დასასრული იქნება)

**გრ. გიგინეიშვილი.**

# ᲡᲐᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝᲡ ᲑᲐᲠᲝᲛᲔᲢᲠᲘ

29 ნოემბერს წარსულში. ... ... სამინისტრო ...

რომ შეკითხვა შეიტანოს ...

# ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

# ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘ

ბულგარეთის დანაკლისი.

ბულგარეთის ... ოფიციალური ... ცნობა, რომ ბულგარეთის საერთო დანაკლისი ამ ომის დროს 70.000 კაცს უდრის. საერთაშორისო „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლის ... 67.000, ... 15.000 ... 9.000 ... 15.000 კაცი.

სამშვიდობო მოლაპარაკება.

პეტერბურგიდან ... ლონდონის სამშვიდობო თათბირი ...

# ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ

სამთა კავშირის განახლების გამო.

„მირის“ აზრი სამთა კავშირის განახლების თაობაზე.

სოფია. ...

იტალია და ევროპის ომი.

დაწყება ვენაში.

ვენა. ...

საგანგებო კრება.

ვენა. ...

პროხასკას საქმე.

# ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(... სააგენტოსი).

ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე დ

29 ნოემბერი.

მანიფესტანტების შეკრება.

ნიუ-იორკი. ... 3 ...

5000 ...

რ უ ს ე თ ი

გაზეთის დაჯარიმება.

პეტერბურგი. ... 500 მანეთით ... დაჯარიმდა.

ოდესა. ...

ჟურნალის აკრძალვა.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა რუსეთში აკრძალა გერმანული ჟურნალი „სიმპლიციმუს“.

# ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ქვლაბრის თეატრი. ... ბარში, (მეზუროვის) თეატრში ...

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ... (ყურდღელაშვილი)

# ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

## ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲗᲐ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: სამგზ.-საზარგ. № 8, ... 26 წ. ჩქარი № 2, ... 10 ს. 14 წ. ...

... № 62 ... 4 ს. 38 წ. ... № 66 ... 7 ს. 8 წ. ... 15 წ.

ქუთაისიდან რიონისკენ: სახ. № 77 ... 5 ს. 28 წ. სახ. № 79, დილ. 10 ს. ... სახ. № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. სახ. № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. სახ. № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

ქუთაისიდან მორაპანს: ...

ფოთიდან სამტრედიაში და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. ...

სამტრედიიდან ფოთამდე: ...

ბათუმ.-დან ქობულეთისა და ნატანებ.-მდე: სახ. № 13, ... № 14 ... № 16 ...

ქობულეთ.-დან ბათუმს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. სახ. № 15, ... 12 ... სახ. № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებ.-დან ბათუმს: სახ. № 17 ...

ბათუმიდან ქობულეთამდე. სახ. № 8, ღამ. 1 ს. 13 წ. სახ. № 14, დილ. 5 ... სახ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათუმიდან ნატანებს: სახ. № 16, ... 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს: სახ. № 46, ... სახ. № 65, ... 9 ს. 14 წ. ...

ბორჯომ.-დან მ. ხაშურამდე: სახ. № 36, ... 12 ს. 35 წ. სახ. № 55, ... 5 ... 58 წ. სახ. № 76, ღამ. 12 ... 4 ...

პირდაპირი მიმოსვლა

გადაუჯდომლად.

1) ბათუმიდან პეტერბურგამდე ...

2) ბათუმიდან მოსკოვამდე ...

3) ტფილისიდან როსტოვამდე ...

4) ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ ...

## ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ)

15 ოქტომბრიდან,

შ ა ვ - ზ ღ ვ ა ზ ე.

(დრო ტფილისის საათით აღნიშნული).

მაჟარინა-ნავთიანი

საზოგადოების გემები.

ბათუმიდან გადის

1) ... სამგზავრ. ... და კვირ., ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. ოთხშ. — შუა ღამის 1 ს. 58 წ.

№ 2. პარასკევს ... 1 ს. 58 წ.

№ 1. სახ. შაბათ ... 2 ... 58 წ.

№ 2. ორშაბ. ... 2 ს. 58 წ.

ბათუმში მოდის:

ოდესიდან ... პირდაპირი სამგ. პარ. დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. ორშ., ... 9 ს. 58 წ.

№ 2. ოთხშ., საღ. 8 ს. 58 წ.

№ 1. სამშ., პარ. საღ. 8 ს. 58 წ.

№ 2. კვირ., საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

კავკაზი და მერკური

საზოგადოების გემებით

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკ, ყოვ. დღე საღ. 4 ს. 40 წ.

ენზელს პირდაპირი, პარ., და სამშ., ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

...

## ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲘ

მთავრობის ... 

ვერიისა — ... № 15.

ხარფუხისა — ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა — ... 1—18.

დიდუბისა — ...

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

დიდი ხნის გამოცდილი მკერავი ქალი

ᲞᲚᲔᲒᲣᲚᲝᲕᲘ ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲡ

ქალებისა და ბავშვების კაბებს.

... 1602

# ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ი. გედევანიშვილის ... 3 ...

ᲒᲐᲛᲪᲔᲛᲘ

# ᲔᲥᲘᲛ ᲜᲐᲜᲐᲡᲐᲮᲐᲠᲝᲕᲘᲡ ...

## ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

დაარსებულია 1889 წელს.

(ვორონცოვის ქუჩა, ...)

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე

გარდა კვირისა.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

606 — 11—12 ს. მკურნალობა

კონსულტაციებად.

ბ. ა. ნანასახარიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ...

ბ. გ. აგასართი: 1—2 ს. შინაგანი ...

... 10—11 ს. ...

... 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

... 11—12 ს. ...

... ბავშვების ...

... 1—2 ს. ...

... 50 ... 

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის

1078 დოქტორი ე. ბ. ნანასახარიანი.

# ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲘᲡ ᲮᲘᲓᲗᲐᲜ

## ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

საწოლი ადგილებით.

... ქუჩა, ... № 48, ... ხიდის პირდაპირ, ტელეფ. № 370.

... ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი ... 3 მან. ... 5 მან. ... მორიგებით. შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“, ... ელექტრონით წამლობა, ... 

1581

# Ქ. Შ. ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮ. ᲒᲐᲕ. ᲡᲐᲖᲝᲒ. ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

იყიდება შემდეგი წიგნები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ... შვილისა ბურჯი ეროვნებისა | 20 კ. | კრილოვის არაკები | 50 „ |
| „ რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური წერილები | 1 მ. | ... შვილის მოთხრობანი | 30 „ |
| „ საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა | 10 კ. | ნაწყვეტები პოლ. ეკონომიიდან | 50 „ |
| „ ქართველთა მეფეებისა ... | 5 კ. | რუს.-ქართ. ლექსიკონი ჩუბ. | 2 მ. 40 „ |
| „ Методическое руководство для учителей и учительниц | 40 „ | რობინზონ კრუზო | 30 „ |
| ... ქართულები | 1 მ. 20 კ. | | |
| ... | 30 „ | | |
| ... II | 40 „ | | |
| ... | | | |
| ... | 60 „ | | |

ახლად მიღებული წიგნები:

Къ Матеріаламъ по исторіи и древн. Грузіи и рос. Джанашв. —25

Крестьянск вопросъ въ Закавказьѣ Аваліани 2—50

О древне-грузинскихъ лѣтописцахъ XI ст. Джавахов . 35 „

Кавказскіе депутаты въ 3-ей Гос. Думѣ . 50 „

... 10 „

... Tифлисъ Грамотность. 1141.

მიიღეთ ... ქვირითის (ხიზილალა),

გამოსული ქერის

სელიოტკები,

და ყოველგვარი

კონსერვები.

... 

ტფილისის მრეწველნი

ᲛᲔᲖᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ.

... ქ., ... № 9.

ტელეფონი № 712.

1131

შავი ხიზილალა